Solidarity Fund PL
in Georgia

კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე: ადგილობრივი ექსპერტი გარე განათების ინვენტარიზაციისა და ენერგოეფექტურობის სფეროში

FSM-2023-03-11

ორგანიზაცია „სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში“ ეძებს კვალიფიციურ ადგილობრივ ექსპერტს ენერგოეფექტურობისა და ქუჩის განათების ინვენტარიზაციის სფეროში, რათა შეიმუშავოს გარე განათების გამარტივებული ინვენტარიზაციის მეთოდოლოგია, ამ პროცესისთვის შერჩეული 10 დაბალ-შემოსავლიანი მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრების ჩართვით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად მათთვის თეორიული და პრაქტიკული სემინარების ჩატარების საშუალებით, და ასევე, გამოკვეთოს ენერგო ეფექტური (EE) ღონისძიებების ინტერვენციის პოტენციალი საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობებისთვის ამ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში უკვე მიღებული ენერგო აუდიტების განმეორების გზით. შეთავაზების ღირებულება უნდა იყოს 40,000 ლარამდე.

<u>ხელშემკვრელი მხარე:</u>

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში,
ილია ჭავჭავაძის გამზირი # 20, ვაკის რაიონი, თბილისი
ს/კ: 404577203
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +995 551 177 363

<u>მოთხოვნილი მომსახურება:</u>

- ქუჩის განათების ინვენტარიზაციის გამარტივებული მეთოდოლოგიის შემუშავება;
- შესაბამის სისტემაში ქუჩის განათების ობიექტების მონაცემთა ბაზასთან ერთად ქუჩის განათების ქსელების (საკონტროლო ყუთების) ინვენტარიზაციის ჩატარება;
- 10-მდე ტრენინგ-სემინარის ჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლებისა და პროექტში ჩართული სტუდენტებისთვის;
- საბავშვო ბაღებში ენერგო ეფექტური ღონისძიებებით ინტერვენციის პოტენციალის შეფასება პოლონელ ექსპერტთან ერთად.

1. მოთხოვნილი მომსახურების აღწერილობა და ფორმა:

სამუშაოების მოცულობა მოიცავს 10 დაბალშემოსავლიან მუნიციპალიტეტში გარე განათების წერტილების (გზები, სკვერები, სათამაშო მოედნები, მრავალ-ფუნქციური მოედნები) ინვენტარიზაციას. როგორც გარე განათების წერტილი,

მიიღება კომპლექტი, რომელიც შედგება ბოძისგან, მასზე დამონტაჟებულია სანათით (აქედან ბოძების დაახლოებით 90% არის ერთი სანათით, დანარჩენი არის ბოძები ორი და ზოგჯერ სამი სხვადასხვა ტიპისა და სიმძლავრის ნათურებით). ქუჩის განათების ინვენტარიზაცია მოიცავს შემდეგ ელემენტებს, რომლებიც დადგენილი უნდა იყოს მონაცემთა ბაზაში:

- განათების მოწყობილობის ტიპი (ნათურის სიმძლავრე, ტექნიკური მდგომარეობის შეფასება),
- ლოკალიზაცია (ქუჩის ან გზის ნომერი),
- ბოძის მფლობელი,
- ბოძის ტიპი,
- განათების მოწყობილობების დაკიდების სიმაღლე,
- ბოძებს შორის მანძილი მეტრებში და გზის კიდიდან,
- ბოძების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება,
- სინათლის წყაროს ტიპი და სიმძლავრე,
- სანათის ნომინალური სიმძლავრე,
- სანათების რაოდენობა ბოძზე,
- მაფიქსირებელი რკალის (ბჯენის) ტიპი,
- განათების ბოძების მმართველი ყუთის იდენტიფიკატორი, რომელთანაც ქუჩის განათება არის დაკავშირებული,
- სხვა მონათესავე ტექნიკური მონაცემები.

2. ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების გარდა, ინვენტარიზაციის ტექნიკის შესაქმნელად, ადგილობრივმა ექსპერტმა უნდა შეიმუშავოს:

- ტრენინგების მეთოდოლოგია და სასწავლო მასალები სემინარების ჩასატარებლად ადგილობრივი ოფიციალური პირებისთვის იმ ადგილებში, სადაც ადგილი ექნება ინვენტარიზაციის პროცესს,
- ქუჩის განათების ბოძების კატეგორიზაციის კრიტერიუმები,
- „წითელი ხაზები“ შეუთავსებელი განათების ბოძების გამოსარიცხად,
- აუდიტირების ტექნიკა ქუჩის განათების ბოძების ტექნიკური პირობების კლასიფიკაციის მიზნით,
- ტექნიკური რეკომენდაციები ქუჩის განათების ბოძებთან დაკავშირებით,
- შეგროვებული მონაცემების ანალიზი წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით,
- საჭირო ინვესტიციების გაანგარიშება, მომავალი მოდერნიზაციის შემთხვევაში,
- PPT პრეზენტაციები გაანალიზებული გარე განათების ბოძების შედეგებით,
- დამხმარე მასალები „ოპტიმალური“ ენერგო ეფექტურობის პაკეტების შესახებ, რათა მოარგოს შერჩეული საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობებს (*პოლონელ ექსპერტთან ერთად*),

Solidarity Fund PL
in Georgia

- დამხმარე მასალები საბავშვო ბაღების დადასტურებული შენობა-ნაგებობების კატეგორიზაციის შესახებ უკვე მიღებული „წითელი ხაზების“ საფუძველზე (*პოლონელ ექსპერტთან ერთად*).

3. დავალების ხანგრძლივობა:

2023 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 21 დეკემბრამდე.

4. დავალების ადგილ(ებ)ი:
საქართველოს 10 სხვადასხვა დაბალ-შემოსავლიანი მუნიციპალიტეტი შემდეგი სიიდან: *ადიგენი, თიანეთი, წალკა, დედოფლისწყარო, ნინოწმინდა, ხარაგაული, შუახევი, ტყიბული, ჩხოროწყუ, ასპინძა, ვანი, ცაგერი, ბაღდათი, ახალქალაქი, ლენტეხი, აბაშა, ამბროლაური, ხობი, ონი, ხონი.*

5. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროცედურაში მონაწილე კონტრაქტორები:

<u>კონტრაქტორებს შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა პროცედურაში, თუკი ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:</u>

პროფესიული მოთხოვნები და გამოცდილება:

- აქვს ენერგოეფექტურობის სფეროში საჯარო დაწესებულებების მხარდაჭერის წინარე ცოდნა და გამოცდილება (სასურველია საქართველოს თვითმმართველობის ერთეულების) და მიუთითებს რა ტიპის ამოცანები შეასრულა;
- აქვს საჯარო შენობა-ნაგებობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება;
- აქვს მანამდე შესრულებული ქუჩის განათების ინვენტარიზაცია შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით თუ როგორ უნდა გააკეთოს ეს (არასავალდებულო, თუმცა ჩაითვლება უპირატესობად);
- ჰყავს გუნდი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულების საგანი;
- კარგად ფლობს ინგლისურ ენას სამუშაო დონეზე პოლონელ კოლეგასთან ეფექტური კომუნიკაციისთვის.

თუ აპლიკანტი არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, იგი არ შეფასდება ქვემოთ მოცემული „განმცხადებლის შერჩევის კრიტერიუმების“ საფუძველზე.

6. კონტრაქტორის შერჩევის კრიტერიუმები (მაქს. 100 ქულა):

ა) გამოცდილება (40 ქულა)

- ბოლო 5 წლის განმავლობაში გარე განათების ინვენტარიზაციის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება;

Solidarity Fund PL
in Georgia

- ბოლო 5 წლის განმავლობაში სამთავრობო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) ადგილობრივი კონტექსტის გააზრება (40 ქულა)

- საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ენერგოეფექტურობის კუთხით ადგილობრივი კონტექსტის კარგად გააზრება ან პროფესიული გამოცდილება.

გ) ხელმისაწვდომობა (20 ქულა)

- წლის განმავლობაში 12-მდე პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციის გამართვის შესაძლებლობა.

7. განაცხადის წარდგენა

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს 2023 წლის 10 აპრილამდე, თბილისის დროით 15:00 საათამდე (GMT+4) ელ. ფოსტის მისამართზე: georgiarep@solidarityfund.pl

8. პროცედურის შედეგების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება კონტრაქტორის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook-ის გვერდზე https://www.facebook.com/solidarityfund.ge

9. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის წარდგენით თქვენ თანახმა ხართ, გაუზიაროთ აპლიკაციის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, რომლებსაც შეეძლოთ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL-ისთვის (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც რჩება ანონიმური).

10. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას დასაქმების კუთხით ყველა პირისთვის, განურჩევლად რასისა, ფერისა, რელიგიისა, სქესისა, ეროვნული წარმომავლობისა, ასაკისა, ფიზიკური შესაძლებლობისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, ოჯახური მდგომარეობისა, დაცული გენეტიკური ინფორმაციისა თუ სექსუალური ორიენტაციისა.

11. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორი არის სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, მისლოვიცკას ქ. 4, 01- 612, ვარშავა. მონაცემები ინახება პოლონეთის რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისთვის. თქვენ გაქვთ უფლება, გაეცნოთ თქვენ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს, გაქვთ უფლება შეასწოროთ პერსონალური მონაცემები და ასევე, გაქვთ უფლება ადმინისტრატორს მოსთხოვოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

Solidarity Fund PL
in Georgia

თქვენ გაქვთ უფლება, შეიტანოთ საჩივარი პერსონალური მონაცემების დაცვის ოფისის პრეზიდენტთან. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სოლიდარობის ფონდ PL-ს ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელსაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: iod@solidarityfund.pl.